



ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №08

2014 წლის 16 ივლისი
ქ. ამბროლაური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება (დანართი №1).

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 16 ივლისის N17 დადგენილება (სსმ V, 30.07.2010წ; N3; მუხ.41).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ერასტი მეტრეველი